

შპს „TECHOLOGY SERVICE-A“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს „TECHOLOGY SERVICE-A“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს „TECHNOLOGY SERVICE-A“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

საქმიანობის შედეგები 31.12.2022

ფინანსური მდგომარეობა 31.12.2022

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 31.12.2022

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 31.12.2022

განმარტებითი შენიშვნები

შპს „TECHNOLOGY SERVICE-A“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2022 წლით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;

ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას

დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია

კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მის ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;

სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;

კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და

თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 22 მაისს.



ალექსანდრე ხუნდაძე

დირექტორი



ნატო ბირჩაძე

მთავარი ბუღალტერი

შპს „TECHNOLOGY SERVICE-A“


ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	5806263	3234262
საქონლის გაყიდვიდან	5806263	3234262
გაყიდვების თვითღირებულება	-4697620	-2569388
საერთო მოგება	1108643	664874
დასაქმებულთა ანაზღაურება	-146140	-139377
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-1858	-947
საპროცენტო ხარჯი	-8484	-546
იჯარის ხარჯი	-48012	-28572
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-54374	-63570
სულ საოპერაციო ხარჯები	-258868	-233012
საოპერაციო მოგება	849775	431862
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-2856	-2171
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	846919	429691
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1611700	1182009
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-70527	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2388092	1611700

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 22 მაისს.



ალექსანდრე ხუნდაძე
დირექტორი



ნატო ბირჩაძე
მთავარი ბუღალტერი

შპს „TECHNOLOGY SERVICE-A“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	414746	58739	238337
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	997415	558436	369594
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	2639	46839
მარაგები	1500308	1342599	995648
სხვა	1500308	1342599	995648
სხვა მოკლევადიანი აქტივები	5236	5344	0
ძირითადი საშუალებები	15222	8802	3084
სულ აქტივები	2932927	1976559	1653502
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	444189	343802	425035
ანარიცხები	0	8945	24102
საგადასახადო ვალდებულებები	582	12112	17091
სხვა ვალდებულებები	100064	0	5265
სულ ვალდებულებები	544835	364859	471493
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	2388092	1611700	1182009
სულ საკუთარი კაპიტალი	2388092	1611700	1182009
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2932927	1976559	1653502

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 22 მაისს.

ალექსანდრე ხუნდაძე

ნატო ბირჩაძე

შპს „TECHNOLOGY SERVICE-A“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	1.182.009	794.588
წლიური მოგება	-	429.691	390.421
წინა პერიოდების კორექტირება	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	1.611.700	1.182.009
წლიური მოგება	-	776.392	429.691
წინა პერიოდების კორექტირება	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	2.388.092	1.611.700

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 22 მაისს.



ალექსანდრე ხუნდაძე

დირექტორი



ნატო ბირჩაძე

მთავარი ბუღალტერი

შპს „TECHNOLOGY SERVICE-A“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის


	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	431335,59	-181282
მიღებული თანხები მომხმარებლისგან	6512255,94	3543660,73
გადასახადები მომწოდებლებსა და დასაქმებულებზე	5286235,63	3223020,73
გადახდილი პროცენტი	16981,89	14946
გადახდილი საგადასახადო გადასახადი	777702,83	486976
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-8688	-5718
ძირითადი საშუალებების შეძენას შეძენა	8688	5718
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-67000	0
სასესხო ვალდებულებების გადახდა	1215200	505691
გადახდილი დივიდენდები	67000	
სესხებიდან მიღებული ფულადი სახსრები	1215200	505691
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	355647,59	-187000
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	359,82	7402
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	58739	238337
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	414746,41	58739

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 22 მაისს.



ალექსანდრე ხუნდაძე

დირექტორი



ნატო ბირჩაძე

მთავარი ბუღალტერი

შპს „TECHNOLOGY SERVICE-A“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

იურიდიული მისამართი- საქართველო. თბილისი დიდუბე ჩუღურეთის რაიონი.
კოსმონავტების სანაპირო 23

ფაქტიური მისამართი : თბილისი დიდუბე ჩუღურეთის რაიონი. კოსმონავტების
სანაპირო 23

საქმიანობის ძირითადი სფერო : G.46.74.0 კომპანიის ძირითადი საქმიანობაა
საცალო და საბითუმო ვაჭრობა რკინა კაველით წყალგაყვანილობის და გასათბობი
მოწყობილობებით და ინვენტარით

კომპანიის დამფუძნებელი არის ორი ფიზიკური პირი:

1. პ/ნ 01027038972 ანა ჩიჩუა 50%
2. პ/ნ 01032001188 ალექსანდრე ხუნდაძე 50%

ანგარიშგების ვალუტა. ფინანსური ანგარიშგება მომზადებული არის ეროვნულ
ვალუტაში ლარი

ანგარიშგების პერიოდი: ფინანსური ანგარიშგების საანგარიშო პერიოდია
კალენდარული წელი, 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკა და წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მომზადებულია
საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და
საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის
შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას
მსს ფასს საფუძველზე.

შპს „TECHNOLOGY SERVICE-A“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს :

- 1.საქმიანობის შედეგები 31.12.2022
- 2.ფინანსური მდგომარეობა 31.12.2022
- 3.კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 31.12.2022
- 4.ფულადი ნაკადების ანგარიშგება 31.12.2022
- 5.განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე:

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ ,ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები , საქართველოს საგადასახადო კოდექსი ,მსს ფასს

საწარმო იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებითა და ბუღალტრული აღრიცხვის ,ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქმედ ანგარიშთა გეგმას .ძირითად საბალანსო ანგარიშებს შესაძლებელი დაემატოს საჭიროებისამებრ ქვეანგარიშები .ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ელექტრონული ფორმით : კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამა Oris ბუღალტერიაში

წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და ნაღდ ფულს სალაროში. ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით.

კომპანიის საბანკო ანგარიშები განთავსებულია ორ ბანკში: სს ბაზის ბანკი და სს პროკრედიტ ბანკი

განმარტებითი შენიშვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ურთიერთდამოკიდებული პირები ს,გადასახადისაგან განთავისუფლებული ან/და არარეზიდენტი პირების მიმართ აისახება გამიჯნულად .

მოთხოვნებს და დებიტორულ დავალიანებებს მონაცემთა ბაზის მიხედვით გააჩნია შემდეგი სტრუქტურა: დებიტორების აღრიცხვის ჟურნალში აღირიცხება ანალიზური აღრიცხვის მიზნებისათვის დებიტორი ორგანიზაციების დასახელებები, დებიტორული დავალიანების წარმოშობის წლები.

მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე:

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ ,ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები

საწარმო იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებითა და ბუღალტრული აღრიცხვის ,ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქმედ ანგარიშთა გეგმას .

ძირითად საბალანსო ანგარიშებს შესაძლებელი დამატოს საჭიროებისამებრ ქვეანგარიშები .ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ელექტრონული ფორმით საბუღალტრო პროგრამა ORIS ში.

ავანსები

აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის მოსალოდნელი ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის,

შპს „TECHNOLOGY SERVICE-A“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

კომპანიას 2022 წლის ბოლოს აქვს მიღებული ავანსი, ავანსად მიღებული თანხის საქონელი გაცემულია 2023 წლის იანვრის თვეში

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური ფასეულებები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს.

სასაქონლო მატერიალური მარაგების აღრიცვის მეთოდია -უწყვეტი -

სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდია „საშუალო შეწონილი“

სასაქონლო მატერიალური მარაგები კომპანიაში შემოდის როგორც ადგილობრივი შეძენებით ასევე იმპორტით (თურქეთი, აზერბაიჯანი)

მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს

-100 ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები მარაგებში არ აისახება და ექსპლუატაციაში გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს (კალკულატორი , ტელ.აპარატი და სხვა)

კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აცულებელნი ნივთები და მასალები (კატრიჯები, დისკები, კრანის გასაწმენდი სითხე და სხვა) მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს

შპს „TECHNOLOGY SERVICE-A“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი საშუალებები

- ძირითადი საშუალებები კომპანიას გააჩნია ოფისის აღჭურვილობის სახით , ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხვება წრფივი მეთოდით
- 2022 წელს მოხდა იჯარით აღებული ქონების რემონტი, ღირებულების შემოღობვა რომელიც აისახა ძირითად საშუალებებში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

- მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების და წარდგენის ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს, ოპერაციები სხვა ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მსს ფასს მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ: უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აისახება საანგარიშგებო ვალუტაში(ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი მკურსის მიხედვით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაფასდება, ამ თარიღისათვის
- 0,0,ს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმავე პერიოდში. უცხოური ვალუტით მიღებული არაფულადი მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის შპს ექსპრესსერვისი 2008 ფინანსური ანგარიშგება მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, მათი გადაფასება საანგარიშგებო თარიღისათვის არ ხდება

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის გადახდილი თანხების ღირებულებას. ვალდებულებები, რომელთა გადახდის ვადა 1 წელზე მეტია, კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ვადაგადაცილებულ დავალიანება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ერიცხება

შპს „TECHNOLOGY SERVICE-A“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

საგადასახადო ვალდებულებები

საწარმო რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად

საგადასახადო ვალდებულების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშებაში ასახეული (გაანგარიშებული) გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხებით)

შემოსავლების აღიარება

- შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით
- მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგებოი ბალანსის შედგენის თარიღისათვის აღიარდება ხელშეკრულების შესრულების სტადიის შესაბამისად, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების შედეგების საიმედოდ შეფასება.
- შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით

ხარჯების აღიარება

- ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით
- ხარჯების აღირიცხვის შინაარსი - ფუნქციური დანიშნულებით
- ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.
- საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

კაპიტალი -

საწარმოს არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს შესაბამისი კაპიტალის ბაზა, რომელიც დააკმაყოფილებს საქრმოს საოპერაციო და სტრატეგიულ საჭიროებებს და უზრუნველყოფს ბაზრის მონაწილეთა ნდობის შენარჩუნებას. ეს მიიღწევა ფულადი

შპს „TECHNOLOGY SERVICE-A“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

ნაკადების ეფექტური მართვით, საწარმოს შემოსავლებისა და მოგების, ასევე გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმების მუდმივი მონიტორინგის გზით,

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით

2022 წელს განაწილებული არის 2016 წლამდე მიღებული მოგება დივიდენდად, რომლის შესაბამისი მოგების გადასახადი გადახდილია 2017 წლამდე

დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით).

შპს „TECHNOLOGY SERVICE-A“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

რისკები

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით.

ფინანსური რისკი

მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს, რომ კონტრაქტორი დროულად ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილებების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას არ გააჩნია ცვალებადპროცენტიანი სესხები, მიმდინარე პერიოდში მას არ გააჩნია საპროცენტო რისკი.

შპს „TECHNOLOGY SERVICE-A“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს.

ლიკვიდურობის რისკი ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას.

კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით. კომპანიას გააჩნია ფული და სხვა სახის მაღალი ლიკვიდურობის აქტივები, რომლებიც უზრუნველყოფს მიმდინარე ვალდებულებების დროულ გასტუმრებას.

ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი.

მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

შპს „TECHOLOGY SERVICE-A“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში

საექვო ვალების რეზერვი.

საწარმო კლიენტის გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად ქმნის საექვო ვალების გაუფასურების რეზერვს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუფასურება და ა.შ. ხელმძღვანელობა ამასთან ერთად ითვალისწინებს დებიტორული დავალიანებების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის საიმედოობას და ამის შესაბამისად ხდება სავარაუდო გაუფასურების რეზერვის შექმნა.

COVID 19

2020 წლის მარტში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ოფიციალურად გამოაცხადა COVID 19 პანდემია. პანდემიის გავლენის შესამცირებლად საქართველოს მთავრობამ დააწესა მთელი რიგი შეზღუდვები: კარანტინი, კომენდანტის საათი, ლოქდაუნი და სხვა. აღნიშნულმა ღონისძიებებმა უარყოფითი გავლენა იქონია როგორც ეკონომიკაზე ასევე ადგილობრივ ბიზნესზე. კომპანიაში 2020-2021 წლებში საოპერაციო პროცესები მიმდინარეობდა რეგულაციების სრული დაცვით. არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით რთულია სამომავლო შედეგების პროგნოზირება და გრძელვადიანი ინვესტიციების მოზიდვა.

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ქონია.

შპს „TECHNOLOGY SERVICE-A“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის
ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 22 მაისს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023
წლის 22 მაისს.



ალექსანდრე ხუნდაძე

დირექტორი



ნატო ბირჩაძე

მთავარი ბუღალტერი